DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

სარჩევი

დაგეგმილი ღონისძიებები	2
ჩატარებული ღონისძიებები	4
წევრთა სიახლეები	9
DWV-ს წევრების შეხვედრა ეროვნულ ბანკთან	11
წევრთა შეთავაზებები	12

თქვენი საიმედო პარტნიორი

თვალყური ადევნეთ ჩვენს სოციალურ ქსელს და შემოგვიერთდით ფეისბუქსა და ლინკდინზე!

ოფიციალური წარმომადგენლობა

თანამშრომლობა

კონტაქტი

Senior Experten Service
მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge

Messe Frankfurt und Fruit Logistica
ვატო კასრაძე
vato.kasradze@dwv.ge

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
თომას კიმმესვენგერი
+995 32 220 5767
thomas.kimmeswenger@dwv.ge

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV-Expert Talk: "მომხმარებელთა უფლებები - საკანონმდებლო რეგულირება და სასამართლო პრაქტიკა"

ძვირფასო DWV-ს წევრებო,

DWV გიწვევთ ღონისძიებაზე Expert Talk თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლესთან, სამართლის დოქტორთან და ასოცირებულ პროფესორთან, **ქ-ნ თამარ ლაკერბაიასთან**.

ღონისძიებაზე განხილული იქნება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ქართული სტანდარტი და რეგულირების ძირითადი ასპექტები. მიმოხილული იქნება სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც.

ღონისძიება ჩატარდება **ქართულ ენაზე** და უზრუნველყოფილი იქნება **გერმანულენოვანი სინქრონული თარგმანი.**

ღონისძიების ბოლოს მონაწილეებს ყავის მენიუზე ვუმასპინძლებთ, რა დროსაც მათ იდეების გაცვლის და ურთიერთობების დამყარების საშუალება ექნებათ.

DWV-ს წევრებისთვის მონაწილეობა თავისუფალია.

დრო & თარიღი: 8 ივნისი 2023, 14:00 სთ.
ადგილი: სასტუმრო რადისონ ბლუ ივერია, 1 ვარდების რევოლუციის მოედანი, თბილისი.

DWV-Get Together

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გიწვევთ DWV-ს მორიგ “Get Together” ღონისძიებაზე ოთხშაბათს, 21 ივნისს, 18:00 საათიდან სასტუმრო **Wyndham Grand Tbilisi**-ს ტერასაზე.

მისამართი: 3 ლადო გუდიაშვილის ქუჩა, თბილისი.

ადგილზე დაგხვდებათ უფასო Welcome Drink და მენიუ სპეციალურ ფასად.

მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას!
თქვენი DWV.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

DWV-ტრენინგი

15 ივნისს გიწვევთ DWV-სა და **GEC Consulting**-ის ერთობლივ ტრენინგზე: "**სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (SOP) განვითარება: გზა საჭიროების იდენტიფიცირებიდან დანერგვამდე**".

ტრენინგის თემატიკა:
ბიზნესის შედეგიანობა, ისევე, როგორც მისი უნარი, დააკმაყოფილოს სწრაფად მზარდი ბაზრის მოთხოვნები, დიდწილად დამოკიდებულია განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობასა და მდგრადი სამუშაო პრაქტიკების ინსტიტუციონალიზაციაზე, რაც, თავის მხრივ, მოიაზრებს სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (SOP) განვითარებასა და დანერგვას.

ტრენინგის შემდეგ თქვენ გაიგებთ:

- რა არის SOP-ი და რა დანიშნულება აქვს;
- რა სახის საქმიანობა საჭიროებს სტანდარტიზაციას და შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავებას;
- როგორ დავაიდენტიფიციროთ SOP-ების შექმნის საჭიროება ჩვენს ორგანიზაციაში;
- SOP-ის შემუშავების ინსტრუმენტებსა და ძირითად ეტაპებს;
- SOP-ების მართვის შიდა ორგანიზაციულ სისტემას: SOP-ის შექმნის მეთოდოლოგიური მხარდაჭერა; დანერგვის მიდგომები; შეფასება და განახლება.

ტრენერები: ირაკლი მიზანდარი, GEC Consulting-ის აღმასრულებელი დირექტორი; ალექსანდრე ჭელიძე, GEC Consulting-ის ბიზნეს კონსულტანტი.

სამიზნე აუდიტორია: საოპერაციო, ბიზნესის განვითარების და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერები.

სამუშაო ენა: ქართული.

ადგილი და დრო: 15 ივნისი 2023; სასტუმრო პულმან თბილისი აქსის თაუერსი.

ტრენინგის ღირებულება: DWV-ს წევრებისთვის 200 ლარი, სხვა შემთხვევაში - 250 ლარი.

მსურველებს გთხოვთ, 13 ივნისის ჩათვლით გაიაროთ **<u>რეგისტრაცია</u>**.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების ორგანიზებით, **2023 წლის 3 მაისს** გაიმართა ღონისძიება, სადაც წარდგენილ იქნა **PEM CONSULT-ის პროექტის პრეზენტაცია.**

დახელოვნების ცენტრი (CoE) არის გერმანიისა და საქართველოს მთავრობებს შორის დადებული ხელშეკრულებით განხორციელებული ინვესტიცია, რომლის ძირითადი ნაწილი BMZ-ს მიერ KfW-ის მეშვეობით არის უზრუნველყოფილი. ეს არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი და გულისხმობს საქართველოში ლოჯისტიკისა და მშენებლობის მიმართულებით დახელოვნების ცენტრის (CoE) დაარსებას. ESIDA მოქმედებს, როგორც PIU (პროექტის განმახორციელებელი განყოფილება). PEM-ის როლი აღნიშნულ პროექტში არის PEA-სა და PIU-სთვის პროექტის განხორციელებაში ტექნიკური მხარდაჭერა.

აღნიშნული ცენტრი იქნება მსგავსი ტიპის პირველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც იმუშავებს ორი ზემოაღნიშნული მიმართულებით.

PEM-მა მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია დახელოვნების ცენტრის შესახებ, წარუდგინა მათ მისი სერვისები, ასევე, მოისმინა კერძო სექტორის საჭიროებების შესახებ და გაუზიარა მათ, თუ როგორ შეუძლიათ კომპანიებს სარგებლობა CoE-ს ცენტრისგან. PEM-მა განიხილა, აგრეთვე, გრძელვადიანი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა მშენებლობისა და ლოჯისტიკის სფეროში მოღვაწე 50-მდე კომპანია. ის საკმაოდ საინტერესო და ინფორმაციული იყო და მონაწილეებიც აქტიურად იყვნენ ჩართული დისკუსიაში.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV-ტრენინგი



2023 წლის 3-5 მაისს ჩატარდა DWV-სა და შვეიცარიულ ფონდ **BPN Georgia**-ს 3 დღიანი ჰიბრიდული სემინარი თემაზე: **"დროის მენეჯმენტი".**

სემინარის ფარგლებში, მონაწილეებმა შეძლეს საკუთარი მუშაობის მეთოდის გაანალიზება და მისი ოპტიმიზაცია, პრიორიტეტების განსაზღვრა და დროის ქურდებთან გამკლავება. მათ ისწავლეს დროის დაგეგმვა კლასიკური დროის წიგნაკისა და Microsoft Outlook-ის საშუალებით.

მონაწილეებმა შეძლეს დროის დაგეგმვის, დავალებების შესრულების და ხელისშემშლელ ფაქტორებთან გამკლავების ინდივიდუალური სტრატეგიის შემუშავება.

რეფერენტი: დანიელ მათერი, შვეიცარელი ექსპერტი, BPN Georgia-ს აღმასრულებელი დირექტორი, ტრენერი, ქოუჩი, ბიზნეს კონსულტანტი.

სამუშაო ენა: გერმანული, ქართული ქრონოლოგიური თარგმანით.

სემინარს 50-მდე მონაწილე ესწრებოდა, მათ შორის, DWV-ს წევრი და არაწევრი კომპანიების წამომადგენლები: შპს ხარისხის საკონსულტაციო ცენტრი, შპს შოუ ტექნიკის ცენტრი, შპს ელესჯი სოლუშენს, შპს დიო, შპს დაგი, შპს ემ ცე ბაუქიმია, შპს არქთრეიდი, შპს პრემიუმ ტრეიდინგი, შპს დიოგენე, სს ლელო, შპს სიესტა, შპს ჰანსა ფლექსი და სხვა.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

DWV-ბიზნეს ფორუმი

2023 წლის 17 მაისს სასტუმრო "შერატონ გრანდ მეტეხი პალასში" გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მორიგი ბიზნეს ფორუმი გაიმართა.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში, **ბ-ნი მარკ კლეიტონი** და ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლები.
ღონისძიება გახსნა და წარმართა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მმართველი საბჭოს თავმჯდომარემ, **დოქ. საშა ტერნესმა.**
დიდი ბრიტანეთის ელჩმა ისაუბრა ინვესტორთა საბჭოს შექმნასა და მის მნიშვნელობაზე, ხოლო ინვესტორთა საბჭოს გენერალურმა მდივანმა, **ბ-ნმა გიორგი ჩერქეზიშვილმა** - ინვესტორთა საბჭოს პროექტების, ინიციატივებისა და მიმდინარე აქტივობების შესახებ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა საინტერესო დისკუსია. ფორუმის დასასრულს კი სტუმრებმა ერთმანეთთან კომუნიკაცია არაფორმალურ გარემოშიც შეძლეს.

DWV-Get Together

ბიზნეს ფორუმის შემდეგ DWV-ს ყოველთვიური ღონისძიება Get Together **სასტუმრო "შერატონ გრანდ მეტეხი პალასი"-ს ტერასაზე** გაგრძელდა.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV-ტრენინგი

2023 წლის 11 მაისს გერმანიის ეკონომიკურმა გაერთიანებამ (DWV), C-team Management Consulting-თან ერთად, ჩაატარა ტრენინგი თემაზე: **"KPI- ციფრებით მართვადი წარმატება! როგორ ვაქციოთ ორგანიზაციის მიზნები თანამშრომლების პირად მიზნებად?"**

როდის არის თანამშრომლის მართვა ეფექტიანი? მაშინ, როდესაც ორგანიზაციაში ეფექტიანი მართვის სისტემებია დანერგილი. გამართულ ორგანიზაციულ სტრუქტურაში კარგი მენეჯერის მთავარ მიზანს არა თითოეული თანამშრომლის "მართვა", არამედ ეფექტიანი, კომპანიაზე მორგებული მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარება და დანერგვა წარმოადგენს. ამდაგვარი მართვის და კონტროლის ინსტრუმენტია **დაბალანსებული ინდიკატორების სისტემა (Balanced Scorecared)**. იგი საშუალებას იძლევა, ასობით თანამშრომლის საქმიანობა გახდეს გაზომვადი და ორგანიზაციის მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული.

სამიზნე აუდიტორია: ორგანიზაციის ხელმძღვანელები (CEO/General Director), ორგანიზაციისა და სტრატეგიის განვითარების მენეჯერები, ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელები, დეპარტამენტების/განყოფილების ხელმძღვანელები.

ტრენინგს გაუძღვნენ: დავით ქარდავა, C-team management consulting-ის ხელმძღვანელი, და მარიამ ცნობილაძე, C-Team-ის პროექტის მენეჯერი.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ **სერტიფიკატები**.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV-ტრენინგი

18 მაისს გერმანიის ეკონომიკურმა გაერთიანებამ (DWV) და **BDO Academy**-მ ჩაატარეს ერთობლივი ტრენინგი: **“2021-2023 წლების მნიშვნელოვანი საგადასახადო სიახლეები“.**

სემინარის მიზანს წარმოადგენდა მონაწილეებისთვის 2021-2023 წელს ამოქმედებული მნიშვნელოვანი საგადასახადო სიახლეების, დღგ-ის ახალი რეფორმისა და სხვა გადასახადების შესახებ ინფორმაციის გაცნობა, რაც მოიცავდა ძირითად პრინციპებსა და დეტალებს ოფიციალური საილუსტრაციო ქეისების მაგალითზე.

სასწავლო სემინარის აუდიტორია: ბუღალტრები; საგადასახადო ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები; საგადასახადო დაბეგვრით დაინტერესებული პირები.

ტრენერი: თეონა პაპიაშვილი – BDO Georgia-ს საგადასახადო განყოფილების ჯგუფის ხელმძღვანელი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, მუშაობის 10 წლიანი გამოცდილებით.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ **სერტიფიკატები**.

სემინარს 15 მონაწილე ესწრებოდა, მათ შორის DWV-ს წევრი და არაწევრი კომპანიების წარმომადგენლები: შპს ჯორჯია ინსაით, შპს ნუტრიმაქსი, შპს მეიჯერელ ჯორჯია, შპს დიო, შპს აი ეფ ელ ქონსალთინგ ენჯინიერს ჯორჯია, “პროკედიტ ბანკი”, შპს კაუკაზუს-რეიზენ და სხვა.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

“გრანთ თორნთონ საქართველოსა“ და „საქართველოს ფინტექ ასოციაციას“ (FIA) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

თანამშრომლობის ფარგლებში, მხარეები თანხმდებიან, შეიმუშაონ მხარდაჭერისა და თანამშრომლობის მექანიზმები ორმხრივად სასარგებლო კვლევებისა და პროექტების წარმოებისთვის.

მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, განახორციელონ კოორდინირებული აქტივობები ფინანსური ტექნოლოგიების (Fintech) სფეროში, კერძოდ: ერთობლივი პროექტები/კვლევები, დარგის განვითარების ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში, ერთობლივი კონფერენციები, ლექციები და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს გრანთ თორნთონის ვიცე მმართველმა პარტნიორმა, პაატა შურღაიამ, და FIA-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, დავით კიკვიძემ.

საგადასახადო ღია კარის დღე გრანთ თორნთონ საქართველოში

31 მაისს გრანთ თორნთონში უკვე რიგით მეორე საგადასახადო ღია კარის დღე გაიმართა.

გრანთ თორნთონის საგადასახადო ღია კარის დღეს ყოველთვიური ხასიათი აქვს, სადაც საგადასახადო მიმართულებით დაინტერესებული პირებს/კომპანიებს გრანთ თორნთონის საგადასახადო ექსპერტები გაუზიარებენ მათ ხედვას მათთვის საინტერესო საკითხების გარშემო.

ღონისძიების სპიკერები იყვნენ: ქეთევან ღამბაშიძე - გრანთ თორნთონ საქართველოს საგადასახადო მიმართულების ხელმძღვანელი; ნათია ჩაგანავა - გრანთ თორნთონ საქართველოს საგადასახადო მიმართულების მენეჯერი; დავით ღავთაძე - გრანთ თორნთონ საქართველოს საგადასახადო მიმართულების უფროსი საგადასახადო კონსულტანტი.

გრანთ თორნთონი ხელს უწყობს საფინანსო სექტორის განვითარებას საქართველოში და მომავალშიც გააგრძელებს მსგავს აქტივობებს.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

საჯარო-კერძო დიალოგი დისტანციურად მომუშავე პირების საგადასახადო ვალდებულებების სწორად განსაზღვრის თაობაზე

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, შესაძლებელი გახდა სამუშაოების დისტანციურ რეჟიმში შესრულება, რაც საშუალებას აძლევს კომპანიებს, ისარგებლონ მათთვის სასურველი კვალიფიკაციის კადრების მომსახურებით მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან. მაგალითად, IT კომპანიები ინტენსიურად იყენებენ შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში მათი დაქირავებულების მომსახურებას დისტანციურ რეჟიმში. ასევე, აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენებასთან ერთად, არ მომხდარა საგადასახადო კოდექსში რაიმე ცვლილების განხორციელება. აქედან გამომდინარე, აქტუალური გახდა შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში, დისტანციურად მომუშავე პირების საგადასახადო ვალდებულების შესრულების სწორად განსაზღვრის საკითხი როგორც საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის, ისე საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გრანთ თორნთონ საქართველო ევროპის ბიზნეს ასოციაციასთან თანამშრომლობით, 3 მაისს, საჯარო-კერძო დიალოგი გამართა.

ღონისძიების დასაწყისში მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარე, ბ-ნი დავით სონღულაშვილი, საქართველოს ბიზნესომბუდსმენი, ოთარ დანელია, EBA-ს საბჭოს პრეზიდენტი, ბ-ნი ჯონ ბრეკეველდტი, და EBA-ს საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, ქ-ნი ირინა საკ.

ღონისძიების მეორე ნაწილი მიეძღვნა გრანთ თორნთონის პრეზენტაციას, რასაც მოჰყვა პანელური დისკუსია შემდეგი მონაწილეებით: ლევან წითელაშვილი - საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე, რომან ბუღაძე - საქართველოს შემოსავლების სამსახურის მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ნინო გვაზავა – HT Solutions-ის აღმასრულებელი დირექტორი, EBA-ს ციფრული კომიტეტების ხელმძღვანელი.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი უწყებების წარმომადგენლებმაც: ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური, საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის აპარატი, შრომის ინსპექციის სამსახური, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სამსახური. ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ კერძო სექტორის წარმომადგენლები.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

DWV-ს წევრების შეხვედრა ეროვნულ ბანკთან

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, **არჩილ მესტვირიშვილი**, და ვიცე-პრეზიდენტი, **პაპუნა ლეჟავა**, გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული ბანკი ავრცელებს.

სამუშაო შეხვედრაზე სებ-ის წარმომადგენლებმა ქვეყნის მაკროეკონომიკურ ტენდეციებზე და გლობალურ თუ რეგიონალურ ეკონომიკურ გამოწვევებზე ისაუბრეს.

“ეროვნული ბანკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის შეხვედრები. გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წარმომადგენლებთან ჩვენ დეტალურად ვისაუბრეთ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე და, ამასთან, ყურადღება გავამახვილეთ ეროვნული ბანკის მონეტარულ და სავალუტო პოლიტიკაზე. გარდა ამისა, შეხვედრის ფარგლებში გაერთიანების წევრებს მივაწოდეთ ინფორმაცია სანქციების მონიტორინგის, საბანკო სისტემის მდგრადობის და იმ რეფორმების შესახებ, რომელიც ამ მიმართულებით განხორციელდა“, – განაცხადა არჩილ მესტვირიშვილმა.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

COURTYARD BY MARRIOTT

MARRIOTT

ქორთიარდ მარიოტი თბილისი ხსნის განახლებულ რესტორანს BRASERIE FREEDOM

Marriott Bonvoy-ის განსაკუთრებული პორტფოლიოს 31 სასტუმროს ბრენდის ნაწილმა, ქორთიარდ მარიოტმა, Brasserie Freedom რესტორანი ხელახლა გახსნა.

თბილისის შუაგულში ახლად გარემონტებული რესტორანი გთავაზობთ იტალიური კერძების მრავალფეროვნებას. საგულდაგულოდ შემუშავებული მენიუ პატივს სცემს იტალიის ცოცხალ გემოსა და კულტურულ მემკვიდრეობას, აქცენტი კეთდება კლასიკურ იტალიურ სამზარეულოზე.

რესტორნის დიზაინი ელეგანტურია და იტალიის კულტურულ ისტორიას ასახავს. რესტორნის კედლებზე დეკორაციები შთაგონებულია ტრადიციული ტოსკანური ფერების პალიტრით. მათ შეუძლია თქვენი წარმოსახვის უსაზღვროდ სტიმულირება და იმ მრავალფეროვნების გამოვლენა, რომელიც თქვენშია. ახლად განახლებული დიზაინი ამდიდრებს სასტუმროს და შთააგონებს სტუმრებს. თბილისის გულში წითელი ღვინის დალევა და ბრუსკეტის მირთმევა გაგრძნობინებთ, რომ რომში ხართ.

ეწვიეთ და დატკბით თავისუფლების მოედნის შესანიშნავი ხედით და სასტუმროს საუკეთესო სასმელით. ახალი დიზაინის იტალიური მენიუ ხელმისაწვდომია 17 მაისიდან.

რესტორნის გახსნის საათები: 10:00 - 01:00
დაჯავშნებისთვის დაუკავშირდით: 032 277 91 00
4 თავისუფლების მოედანი

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

Voovly
All Your Car Needs



გლობალ ასისტანს საქართველო - ვინ ვართ ჩვენ

VIG VIENNA INSURANCE GROUP

200 წლიანი გამოცდილება სადაზღვევო ბაზარზე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის 25 ქვეყანაში, წარმოდგენილია 50-ზე მეტი სადაზღვევო კომპანიისგან

ჯიპიაი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

საქართველოში სადაზღვევო ბაზარზე საქმიანობის 20 წლიანი წარმატებული გამოცდილება და ავტომომსახურების ბაზრის ზედმიწევნით კარგი ცოდნა, N1 სადაზღვევო კომპანია ბოლო 5 წლის მანძილზე

global assistance

ვენის სადაზღვევო ჯგუფის წევრი კომპანია, საერთაშორისო მასშტაბით მსგავსი პროექტების დანერგვის ნოუჰაუ და ექსპერტული გამოცდილება, წარმოდგენილია 11 ქვეყანაში 8 კომპანიის სახით



ვუვლი
ავტომომსახურების სრულყოფილი სერვისი

დროის დაზოგვა, უზრუნველობა	~ შეკვეთის განთავსება მარტივად ~ მომსახურების სისწრაფე და გამჭვირვალობა
კომფორტული სერვისი, ხელმისაწვდომი ნებისმიერი არხით	~ ტელეფონი ~ ვებ გვერდი
მარტივი რეგისტრაცია და შეკვეთის განთავსება	~ რეგისტრაცია/ავტორიზაცია ~ სერვისის შერჩევა და შეკვეთის განთავსება ~ გადასახადების დადასტურება
დაცულობა მომხმარებლისთვის	~ „თრეკინგი" ~ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა
ხარისხი	~ მომხმარებელთა უკუკავშირის სისტემა ~ ISO 9001 სტანდარტი



ჩვენი მისიაა

—

შევქმნათ ახალი ერა ავტომომსახურებაში, რომელიც გამსჭვალულია პასუხისმგებლობის გრძნობით, მაღალი პროფესიონალიზმით, ცოდნით და აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ბიზნესს იმისთვის, რომ ავტომფლობელებს მიაწოდოს სრულყოფილი, ოპერატიული და კომფორტული სერვისი.

ჩვენი როლია

—

შევქმნათ ეკოსისტემა, სადაც კულტივირებულია მაღალი სტანდარტები, პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი.

ვუვლის მომსახურება
სრული პასუხისმგებლობა მომსახურების ხარისხზე

პრობლემის იდენტიფიცირება

~ ადგილზევე მოვახდენთ იდენტიფიცირებას

~ საჭიროებისამებრ დავგეგმავთ მომსახურებას ადგილზე ან შემკეთებელ სერვის ცენტრში

შემკეთებლის მოძიება

~ მოვიძიებთ შემკეთებელს სადაც ხარისხის გარანტიით მოხდება შეკეთება

~ მოვიძიებთ შემკეთებელს, სადაც მისაღებ ფასად მოხდება პრობლემის მოგვარება

სათადარიგო ნაწილების მოძიება / შეძენა

~ საჭიროებისამებრ მოვიძიებთ ყველა საჭირო სათადარიგო ნაწილს

~ უზრუნველვყოფთ მათ შეძენას და შემკეთებლისთვის მიწოდებას

შეკეთების უზრუნველყოფა

~ უზრუნველვყოფთ შეკეთების დროულობას

~ უზრუნველვყოფთ შეკეთების ხარისხს

~ ყველა პროცესზე მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას

~ ყველა შენაძენზე წარმოვადგენთ დეტალურ განფასებას

ავტომობილის დაბრუნება

~ დაგიბრუნებთ ავტომობილს თქვენთვის სასურველ მისამართზე

ვუვლიმ ავტომფლობელზე უკეთ ვიცით, რა სჭირდება მის მანქანას

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

სპეციალური შეთავაზება რუმს თბილისისგან



DWV მკითხველებისთვის

სასტუმროში Rooms Tbilisi 20%-იანი ფასდაკლება მოქმედებს

2023 წლის ბოლომდე

BOOK NOW

ROOMS HOTELS™

Rustaveli Ave. 24, 0108 Tbilisi; Tel.: + 995322 220567; info@dwv.ge

GOLDEN TULIP

PLAYTIME. ANYTIME

DESIGN TBILISI

SPECIAL SPRING CORPORATE OFFER



Our hotel features a total of 77 rooms that are outfitted in a chic, contemporary design to meet both business and leisure travelers' needs. Breathtaking views of the River Mtkvari are the perfect way to start the day or to admire before bed. Each room is hand-painted by local artists, who in their works reveal unique stories about Georgia. The rooms are equipped with a wide range of amenities to enjoy.

- 60/70 USD (single/double)
- Including breakfast
- Including VAT 18%
- Free upgrade to Superior class room
- Free early check-in upon availability (from 12:00 noon)
- Free late check-out upon availability (till 06:00 PM).

37 Ketevan Tsamebuli Avenue, Tbilisi 0103
+995 (322) 157 157
info@goldentulipdesigntbilisi.com
design-tbilisi.goldentulip.com

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

GOLDEN TULIP

PLAYTIME. ANYTIME

DESIGN TBILISI

Our property features two conference rooms outfitted with modern audio-visual technology. We can guarantee your event will be a great success, be it a conference, seminar, training, networking, brainstorming or closing a deal.

CORPORATE PACKAGE

- Full Day - 35 USD (2 coffee break; 1 Lunch)
- Half Day - 30 USD (2 coffee break; 1 Lunch)
- Conference Room - complimentary
- Technical equipment - for free.

*THE PROMOTION IS VALID FOR MORE THAN 15 PEOPLE

37 Ketevan Tsamebuli Avenue, Tbilisi 0103
+995 (322) 157 157
info@goldentulipdesigntbilisi.com
design-tbilisi.goldentulip.com

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge